ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

2022 წლის 28 ივლისი

დაბა ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩას და ხუთ ჩიხს მიენიჭოს ისააკ კეკელიძის სახელი თანდართული ნახაზისა და ორთოფოტოს შესაბამისად.

მუხლი 2.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. №4. გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა

დანართი

ორთოფოტო


271 141, 4 654 142
271 058, 4 654 127
271 253, 4 654 120
270 893, 4 654 099
271 165, 4 654 074
271 138, 4 654 053
271 034, 4 654 016
271 185, 4 653 977
271 057, 4 653 952
271 293, 4 653 838